

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 1

ქ. დმანისი

25 იანვარი 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გომუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მიხეილ დაუთაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. მურაზი აბრამიშვილი
12. შალვა ღამბარაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. გამლეთ ისმაილოვი
17. ნატიგ ოჭჩიევი
18. შოთა აკობაშვილი
19. გუსეინ ისმაილოვი
20. ლეილა მიქიანი
21. კახა დევენოზაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი , მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების სპეციალისტი გიორგი ავალიშვილი. საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 13. 25

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი:

1	დადგენილება: დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	თ.ტატულაშვილი
2	დადგენილება: „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	გ.გრიგალაშვილი
3	დადგენილება: „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	პ.ყულიაშვილი
4	დადგენილება: „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	პ.ყულიაშვილი
5	განკარგულება: დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 -2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ	მომხსენებელი:	პ.ყულიაშვილი
6	დადგენილება: დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ	მომხსენებელი:	ნ.სამადაშვილი
7	განკარგულება: დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ	მომხსენებელი:	ნ. სამადაშვილი
8	განკარგულება: დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ	მომხსენებელი:	ნ. სამადაშვილი
9	განკარგულება: დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე	მომხსენებელი:	გ. ავალიშვილი

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2401 „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის

შესახებ“ განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 686.000,00 ლარი. აღნიშნული თანხა ასახული იქნება ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვრება 686,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4.151.916,00 ლარი. აღნიშნული თანხა ასახული იქნება ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვრება 4.151,9 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის #43 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 206.100,00 ლარი. აღნიშნული თანხა ასახული იქნება ორგანიზაციული კოდი 03_03 “კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვრება 206,1 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის #56 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების დელეგირების შესახებ საფუძველზე“ განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 816,5 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის დეკემბრისთვის ასანაზღაურებლად გამოეყო 119,3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახული იქნება ორგანიზაციული კოდი 04_03 “საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვრება 935,8 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

დმანისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან მიმართული იქნას, 2023 წლის აღებული ვალდებულებების დასრულებისთვის და 2024 წელს დაგეგმილი პროექტების დაფინანსების მიზნით, 5.074,9 ათასი ლარი. მათ შორის:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი აუთვისებელი ნაშთი 1.545,2 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება:

1.153,1 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

145,7 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

87,2 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბლანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

159,1 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

საკუთარი შემოსავლებიდან აუთვისებელი ნაშთი 3.529,7 ათასი ლარი რომლიდანაც 2.395,0 ათასი ლარი მიმართული იქნება:

3,2 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 01_01_01 „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლში;

21,0 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 01_01_01 „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში;

90,0 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლში;

50,0 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 01_02_02 „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დონდი“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში;

344,7 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

210,2 ათასი ლარი ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

26,5 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_03_03 „კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში

1.080,4 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბლანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

140,8 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

275,8 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

90,5 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში

20,5 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში;

41,4 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 06_02_06 „ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში;

საკუთარი შემოსავლების აუთვისებელი ნაშთიდან აღებული ვალდებულებების დასრულებისათვის დასაფინანსებლად 2.395,0 ათასი ლარის გამოკლების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ნაშთი 1.134,7 ათასი ლარის ოდენობით გადანაწილდეს შემდეგნაირად:

91,0 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

10,0 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_01_01 „გზების მიმდინარე მოვლა შენახვა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში;

144,4 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

889,3 ათასი ლარი - ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში;

ორგანიზაციული კოდი 01_01_01 „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ „სხვა ხარჯები“-ს მუხლიდან 7,6 ათასი ლარი გადატანილი იქნას ამავე კოდის „შრომის ანაზღაურები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 735,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 04_01_01 „სკოლამდელი აღზრდის სამსახური“ „სუბსიდიები“-ს მუხლიდან 2,7 ათასი ლარი გადატანილი იქნას ამავე კოდის „სოციალური დაცვა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 6,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 05_02_02 „დმანისის ხელოვნების და კულტურის ცენტრი“ „სუბსიდიები“-ს მუხლიდან 4,0 ათასი ლარი გადატანილი იქნას ამავე კოდის „სოციალური დაცვა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 4,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 06_02_05 „დმანისის სათნოების სახლი“ „სუბსიდიები“-ს მუხლიდან 2,5 ათასი ლარი გადატანილი იქნას ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 2,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 06_02_08 „ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა“ „გრანტი“-ს მუხლიდან 30,0 ათასი ლარი გადატანილი იქნას ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 31.043,5 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

დმანისის მუნიციპალიტეტის გაზრდილი ბიუჯეტის ფონზე, მუნიციპალიტეტის მერიაში საგრძნობლად იმატა სამუშაო მოცულობამ და შესასრულებელი სამუშაოს კვალიფიციურად, შესაბამისი კომპეტენციით და პროფესიონალურად განხორციელების მიზნით საჭიროა შესაბამისი კადრები მერიის სისტემაში. შესაბამისი კადრების მოტივაციის ამაღლების და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების სრულყოფილად და ეფექტურად შესრულების მიზნით, მიზანშეწონილია მერიის საშტატო ნუსხაში შევიდეს ცვლილება და მოხელეთა კარიერული განვითარების მიზნით, რომლებიც უკვე წლებია დასაქმებულები არიან მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, მოხდეს მათი ქვედა იერარქიული რანგის თანამდებობიდან ზედა იერარქიული რანგის თანამდებობაზე და დაბალი თანამდებობიდან იმავე იერარქიული რანგის მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა.

თანახმად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილებისა, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში და ამ დადგენილებით დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში, ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ხორციელდება ზოგიერთ საშტატო ერთეულზე უმცროსი სპეციალისტის თანამდებობიდან უფროსი სპეციალისტის თანამდებობის და მოხელის კატეგორიის ცვლილება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება იწვევს სახელფასო ფონდის ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო

ნუსხის დამტკიცების შესახებ” დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართი №1-ის „პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები” ცხრილის მე-4 გრაფაში შედის ცვლილება და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №1

„პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები”

№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო	სამტატო რიცხოვნობა
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში	III	1995	1

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : **პაატა ყულიაშვილი** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით წინა წელს განხორციელებული შესყიდვების გეგმის ანგარიშის განხილვა.“

2.დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის დანართი N1-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 94¹ მუხლი:

„მუხლი 94¹. ელექტრონული პეტიცია

1. ამ რეგლამენტის 94-ე მუხლით განსაზღვრული სუბიექტების მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (შემდგომში – აპლიკაცია) მეშვეობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პეტიციის წარდგენის მიზნით მომხმარებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელთა რაოდენობა აღემატება ერთს, ერთ-ერთი მომხმარებელი, რეგისტრირდება აპლიკაციის მომხმარებლად, რისთვისაც მიუთითებს სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პირად ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, აპლიკაციაში განათავსებს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) დასკანერებულ ასლს. მომხმარებელს ელექტრონულ ფოსტაზე აპლიკაციის მიერ ავტომატურ რეჟიმში ეგზავნება კოდური სიტყვა/სიმბოლოები, რომლითაც ახდენს რეგისტრაციის დადასტურებას.

3. მომხმარებელი ვალდებულია ამ რეგლამენტით განსაზღვრული პეტიციის ტექსტი განათავსოს აპლიკაციაში ქართული Silfaen შრიფტით და აპლიკაციაში დოკუმენტების ატვირთვის გზით, თან დაურთოს ამ რეგლამენტით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აპლიკაციაში განთავსებული ტექსტი და თანდართული დოკუმენტები მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოჩნდება მისი ატვირთვის დღის მომდევნო სამუშაო დღის 24 საათამდე. აპლიკაციაში განთავსებული ტექსტისა და თანდართული დოკუმენტების მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთვის დასტური, მომხმარებელს ეგზავნება მობილური ტელეფონის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე, ასეთის მითითების შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით აპლიკაციაში განთავსებულ ტექსტს და თანდართულ დოკუმენტებს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ ასახავს თუ:

ა) ტექსტი ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს;

ბ) ტექსტის შინაარსი შეურაცყოფას აყენებს ნებისმიერ პირს;

გ) ტექსტი ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით განსაზღვრულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აპლიკაციაში ატვირთულ პეტიციაზე ამომრჩევლების მიერ ხელმოწერის შესრულება ხდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გარეშე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, ამომრჩევლები აპლიკაციაში, ქართული Silfaen შრიფტით უთითებენ საკუთარ სახელს, გვარს, პირად ნომერს, რეგისტრაციის მიხედვით საცხოვრებელი ადგილის მისამართსა და მობილური ტელეფონის ნომერს. პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, ამომრჩეველი ვალდებულია, აპლიკაციის შესაბამის ფანჯარაში მონიშვნის გაკეთების გზით დაადასტუროს, რომ გაეცნო პეტიციის შინაარსს და ეთანხმება მას. აპლიკაციაში ამომრჩეველის მონაცემების ხელმოწერითა სიაში დამატება ხდება მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე აპლიკაციის მიერ ავტომატურ რეჟიმში გაგზავნილი კოდური სიტყვის/სიმბოლოების მეშვეობით ხელმოწერის დადასტურების შემდეგ და აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში უთითებს ხელმოწერის განხორციელების თარიღს. ერთი მობილური ტელეფონის ნომერი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არაუმეტეს 5 პირის რეგისტრაციის მიზნით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის შესრულებისას იგი უფლებამოსილია დააფიქსიროს მისი პოზიცია მისი სახელისა და გვარის საჯაროობის თაობაზე. თუ ამომრჩეველი არარის თანახმა, მისი სახელი და გვარი გახდეს საჯარო, აპლიკაცია უზრუნველყოფს მისი პერსონალური მონაცემების გამხელისაგან დაცვას. ამომრჩევლის პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მომხმარებლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირისათვის.

9. აპლიკაცია უზრუნველყოფს, რომ ტექნიკურად არ იყოს შესაძლებელი ორი ან რამდენიმე ხელმოწერის შესრულება საქართველოს მოქალაქის ერთი და იგივე პირადი ნომრით.

10. პეტიციის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ აპლიკაცია ასაჯაროებს პეტიციაზე ხელმოწერი ამომრჩევლების მიმდინარე რაოდენობას, პეტიციაზე საჭირო ხელმოწერთა მინიმალურ რაოდენობას და მომხმარებლ(ებ)ის სახელ(ებ)ს და გვარ(ებ)ს.

11. პეტიციის ტექსტის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში, ამომრჩეველთა მიერ ამ რეგლამენტით დადგენილი მინიმალური ოდენობის ხელმოწერების ელექტრონულად განხორციელების შემდეგ, აპლიკაციის „რეგისტრაციაზე გაგზავნის“ ფუნქციის მეშვეობით მომხმარებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე პეტიციის ტექსტსა და თანდართულ დოკუმენტებს, მათ შორის პეტიციის ხელმოწერ ამომრჩეველთა სრულ სიას, აგზავნის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე. ამ შემთხვევაში აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში აკეთებს აღნიშვნას პეტიციის წარდგენის თარიღის თაობაზე და საკრებულოს აპარატისგან ითხოვს პეტიციის მიღების დადასტურებას, საკრებულოს აპარატისგან მიღების დადასტურების შემდეგ აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად ატყობინებს ამის შესახებ მომხმარებელს, თარიღისა და დროის მითითებით.

12. პეტიციის ტექსტის შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან და ამ რეგლამენტის მოთხოვნებთან, ასევე პეტიციის საკრებულოში გადაგზავნამდე, ამომრჩევლების მიერ მათი მონაცემების სრულად შეყვანით ელექტრონულად განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობის, რეგლამენტით დადგენილ მინიმალურ რაოდენობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომხმარებელი.

13. პეტიციის ელექტრონულ ფოსტაზე მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საკრებულოს აპარატი იწყებს ამ რეგლამენტის გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას.

14. პეტიციის რეგისტრაციის შემდეგ საკრებულოს აპარატი პეტიციის რეგისტრაციაზე დასტურს ან პეტიციის რეგისტრაციაზე უარს უგზავნის მომხმარებელს და აღნიშნულს განათავსებს

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.”

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 -2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ დანართის შესაბამისად (თან ერთვის)

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

აღნიშნული დადგენილების პროექტის თანახმად, დადგინდეს დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის თვითმმართველობის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

დადგენილების მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა, საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისად.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებას გავლენა არ ექნება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და პოზიტიურად აისახება ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე.

ქ. დმანისში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა შემდეგი სახით:

IMG	ITL	C	K	CN (ლარი)
0,23	1,0	0,24	45	2,484

3. დმანისის მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიებზე მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. დმანისისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1,242 ლარს.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

7.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, საჭიროა მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს აუქციონის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე

რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (დანართი თან ერთვის).

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

8.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა დანართი 1 –ის შესაბამისად (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

9.მომხსენებელი: გიორგი ავალიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე

1	ქ.დმანისში პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის(პარკინგი) მოწყობის სამუშაო	გზები	40,598
2	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამიშლოში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაო	კეთილმოწყობა	523,501
3	ქ.დმანისში გორგასლის N17-ში მდებარე შენობის სახურავის გადახურვის სამუშაო	შენობა ნაგებობები	149,940
4	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზაქლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები	კეთილმოწყობა	251,977
5	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის შენობის დასრულების სამუშაო	შენობა ნაგებობები	41,963
6	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში ორ ლოკაციაზე ღობის მოწყობის სამუშაო	კეთილმოწყობა	144,380
7	ქ.დმანისში კოსტავას ქუჩაზე ლითონის ცხაურისა და ბეტონის კედლის მოწყობა.	გზები	90,976
8	ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩა N34-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის სამუშაო	შენობა ნაგებობები	141,376

9	ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ. N56-ში სპორტული დარბაზის შენობის სრული რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	51,900
10	სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	300,000

2 პროექტი არის გარდამავალი,

11	ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. N 167-ში კომუნალური სამსახურის შენობის რეაბილიტაციის	შენობა ნაგებობები	141,095	პროექტის ღირებულება შეადგენს 737810 ლარს. აღნიშნული პროექტი დაფინანსდება 207373 ლარით საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 2015–2022 წლებში გამოყოფილი თანხებიდან მორჩენილი ეკონომიით, 362500 ლარით 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, ხოლო 167937 ლარი დაფინანსდეს 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.
12	სოფ. ირგანჯაში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა	შენობა ნაგებობები	100,000	გარდამავალი პროექტია, დაიწყო 2022 წელს

პუნქტი 13-14-15-16 არის 2024 წლის რეგ და მთის პროექტების თანადაფინანსება, სოფლის მხარდაჭერის თანადაფინანსება, 2024 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნად გათვალისწინებული თანხები

13	2024 რეგ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	311,875	
14	2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	1,083,600	
15	2024 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება	სხვა	250,000	
16	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	სხვა	179,500	

	ჯამი		3802681	
--	------	--	---------	--

2022 -2023 წლის პროექტების დასრულებისთვის

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	2023 წრფე და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	821,955	
2	2023 წლებში საზედამხებველო/საექსპერტო მომსახურება	სხვა	1,491	
3	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	სხვა	109,000	
4	2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	275,843	
5	ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. N 167-ში კომუნალური სამსახურის შენობის რეაბილიტაციის	შენობა ნაგებობები	53,758	პროექტის ღირებულება შეადგენს 737810 ლარს. აღნიშნული პროექტი დაფინანსდება 207373 ლარით საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 2015-2022 წლებში გამოყოფილი თანხებიდან მორჩენილი ეკონომიით, 362500 ლარით 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, ხოლო 167937 ლარი დაფინანსდეს 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.
6	სოფ. ირგანაიში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა	შენობა ნაგებობები	228,917	გარდამავალი პროექტია, დაიწყო 2022 წელს
7	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ ქციაში შიდა გზის რეაბილიტაცია	გზები	35,410	
8	ქ.დმანისში ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე მედეათეკასთან (ყოფილი N3 საბავშვო ბაღი) სამანქანო ხიდის და გზის მოწყობის სამუშაოები	გზები	198,164	
9	დმანისის მუნიციპალიტეტში საზღვრის აღმნიშვნელის რეკონსტრუქციის სამუშაოები	კეთილმოწყობა	50,776	

10	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შენობა ნაგებობები	233,459	
11	დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობის რეაბილიტაციის სამუშაო	შენობა ნაგებობები	101,999	
12	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის განათების და წარწერის მოწყობის სამუშაო	გარე განათება	26,440	
13	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში სკვერის მოწყობის სამუშაო	კეთილმოწყობა	172,444	
	ჯამი		2,309,655	

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე



სხდომის მდივანი:

პაატა ყულიაშვილი

ლომა გადრანი

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	საქმიანობის ინდიკატორი	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო	კასუხისმგებელი უწყება	კარტონორი უწყება	შესრულს ვად
1. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების განვითარება	1.1. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება	1.1.1 დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა	1.1.1.ა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წ. 6 თებერვლისN24 დადგენილებით დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს დაბუღება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოყვანილი			დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	2024-2025
		1.1.2. დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება	1.1.2.ა. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საბჭოს წევრებთან, მუნიციპალიტეტში გენდერის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციით;	1.1.2. ბ. გეგმა განხილულია და დამტკიცებულია საბჭოს მიერ, გეგმა გამოქვეყნებულია				მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

		1.1.2-ბ. გამოქვეყნებულია გემის შესრულების ყოველწლიური ანგარიში			მუნიციპალიტეტის განვითარების საბჭო	2024-202
1.1.3. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის და მიღა სამუშაო გეგმის მოწაადება, რაც გულისხმობს ვახუხისმგებელი ვირის მიერ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით სამსახურივლელ საქმიანობას განსახორციელებელ საქმიანობას		1.1.3. გენდერული თანასწორობის მდივნისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;			მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	2024-202
1.1.4. საკრებულოს ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, ჰუმანიტარიზაციისა და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა		1.1.4.ა. საკრებულოს ვებ-გვერდზე დამატებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს „ფაქჯარა“ 1.1.4.ბ. საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საბჭოს საქმიანობის და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალები, კვლევები, ჰუმანიტარიზაცი, ანალიტიკური მასალები, საბჭოს სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები და ფოტო მასალა 1.1.4.გ. მექანიზმა და აქტიურია დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს Facebook გვერდი.			მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია	2024-202

<p>1.2. მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გათვალისწინებულია გენდერული მიდგომები. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა</p>	<p>1.2.1. მუნიციპალიტეტში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა) იპ-ებში კადრების შერჩევის და სამსახურში ავჯანის დროს გათვალისწინებული იქნას გენდერული სპეციფიკა</p>	<p>1.2.1.ა. იწარმოება და გამოქვეყნებულია დასაქმებულთა სქესის და თანამდებობრივი ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები</p> <p>1.2.1.ბ. შექმნილია საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზა და ხდება მისი პერიოდული განახლება</p> <p>1.2.1.გ. საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზა განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე</p> <p>1.2.1.დ. კანდიდატებისათვის</p>	<p>მუნიციპალიტეტის მენეჯერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>მუნიციპალიტეტის მენეჯერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>2024</p>
<p>1.5. ქორიღინიერებული მუშაობა საქართველოს კარლამბენტი გენდერულ საბჭოსთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება საკონტაქტო პირების ქსელის ფუნქციონირება, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებთან ასევე სხვა მუნიციპალიტეტებთან</p>	<p>1.1.6. მუნიციპალიტეტში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად მერიისთვის, საკრებულოსათვის ან/და საჯაროველის კარლამბენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა</p>	<p>1.1.5.ა. საბჭოს სხდომის ოქმები საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის პროექტისა და საქართველოს კარლამბენტის გენდერული საბჭოს მიღებული წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვის შესახებ</p> <p>1.1.5.ბ. საქართველოს კარლამბენტის გენდერულ საბჭოში გამზავნილი წინადადებები და მათგან მიღებული რეკომენდაციები</p> <p>1.1.5.გ. სახელმწიფო ორგანიზაციებთან და სხვა მუნიციპალიტეტებთან შექმნილია ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის ქსელი</p>	<p>მუნიციპალიტეტის მენეჯერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>202.</p>	

	<p>1.2.4. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წახალისდეს ქალთა სამოქალაქო აქტივობები, ლიდერ ქალთა გამოვლენა; გაზრდილია ქალთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის განვითარებისა და გაძლიერებისთვის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტული პროექტების დასახელებასა და ადგილობრივ დონეზე გადარჩევითილების მიღების პროცესში</p>	<p>1.2.4.ა. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ქონდში 1.2.4.ბ. გამოვლენილ ლიდერ ქალთა რაოდენობა 1.2.4.გ. დაწინილია მქანისებში შეხვედრების მონაწილეთა გენდერული შემადგენლობის შესახებ მონაცემების მიწებისა და დაშუშავების, ასევე იკითხება მონაცემები გენდერულ ქონდში წუნადლეუბების ინიციატორთა შესახებ</p>			<p>მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	2024-2
	<p>1.2.5. მოსახლეობასთან საჯარო განხილვებსა და შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებების, მოსაზრებებისა და იდეების ანალიზის საფუძველზე მომხდეს მათი ასახვა მუნიციპალიტეტის მთელ ორგანიზებულ დონისთვის და საქართვებში</p>	<p>1.2.5.ა. გამოქვეყნებულია საჯარო შეხვედრების ოქმები 1.2.5.ბ. საჯარო განხილვების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები 1.2.5.გ. რეკომენდაციები ასახულია განხორციელებულ დონისთვის და მიღებულ სამართლებრივ აქტებში</p>			<p>მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p>		2023-;
<p>1.3. გენდერული სტატისტიკა დაწერგვილია</p>	<p>1.3.1. მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ქონდში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმები და მეთოდები</p>	<p>1.3.1. შემუშავდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ქონდში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმები და მეთოდები</p>		<p>1.3.2.ა. შექმნილია სტატისტიკური მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, გენდერულ ქონდში 1.3.2.ბ. პერიოდულად ახლდება სტატისტიკური მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა</p>	<p>მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო გენდერზე ვასუნისმეცხეული პირი</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	2023

		<p>1.3.3. უზრუნველყოფილი იქნას გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობა</p>	<p>1.3.3.ა. საინფორმაციო ბაზა განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე</p>			<p>მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო</p>	
	<p>1.3.4. მუნიციპალიტეტის კომპეტენციის მიკუთვნებული სფეროების მიხედვით გაანალიზებული იქნას საინფორმაციო საჭიროებების გამოვლენის, გასაზრებელი ფონისძირებულის და მუნიციპალური პროგრამების შესაბამეზვებლად</p>	<p>1.3.4.ა. გამოქვეყნებულია ანალიზის ანგარიშები და დასკვნები 1.3.4.ბ. გამოვლენილი საჭიროებები ასახულია მუნიციპალურ პროგრამებში</p>				<p>მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>
	<p>1.3.5. მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულ იქნას ტრენინგები ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე</p>	<p>1.3.5.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ქრილში</p>	<p>ხარჯების გადება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განყოფილი თანხებიდან</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტი</p>		<p>მუნიციპალიტეტის მერია</p> <p>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>

